სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N 199 საჯარო სკოლა

პროექტი „შაბათის სკოლა“ (თბილისი)

2022-2023 სასწავლო წელი

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება III, IV, V, VI კლასის მოსწავლეებისათვის (ან მაღალკლასელთათვის, ვისაც სურს ამ პროგრამის გავლა)

მათემატიკასა და ტექნოლოგიებში

პროექტის მიზანი:

საქართველოს მასშტაბით დაინტერესებულ მოსწავლეებს დაეხმაროს მათემატიკური და ლოგიკური უნარების განვითარებაში.

პროექტის ამოცანები:

1. აღმოაჩინოს მოსწავლეში მათემატიკისადმი მიდრეკილება;
2. შეაყვაროს მოსწავლეებს მათემატიკა;
3. შეასწავლოს პროგრამირების საწყისი ეტაპები;
4. შეაყვაროს მოსწავლეებს სწავლა, გამოუმუშაოს შრომის უნარი და შრომისადმი სიყვარული;
5. განუვითაროს მოსწავლეებს:

ა) დასმული ამოცანის გააზრების უნარი;

ბ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;

გ) სინთეზისა და შეფასების უნარი;

დ) ლოგიკური აზროვნების უნარი;

ე) აზრის ჩამოყალიბებისა და გადმოცემის უნარი;

ვ) ტექნოლოგიური უნარები;

ზ) ალგორითმის შექმნის უნარები;

6. გაუღვივოს მოსწავლეებს მათემატიკური შეჯიბრებებისადმი ინტერესი.

მეთოდები:

1. შემდეგი თემატიკის მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნა:

ა) წილადებზე მოქმედებები;

ბ) ნაწილი ;

გ) ამოცანები ნატურალურ რიცხვებში;

დ) ამოცანების ამოხსნა განტოლების შედგენით;

ე) მათემატიკური თამაშები;

2. ამოცანის ამოხსნისას შემდეგი აპარატისა და მეთოდების გამოყენება:

ა) ლუწ-კენტობა;

ბ) დირიხლეს პრინციპი;

გ) კიდურას პრინციპი;

დ) გრაფთა თეორია;

დ) გაყოფადობის ნიშნები;

ე) ნაშთთა კლასები;

3. სხვადასხვა სახის ინტელექტუალური შეჯიბრებები ჩატარება;

4. სახალისო ამოცანები;

5. ლოგიკური ამოცანები.

6. შემაჯამებელი ტესტები.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსწავლეებს განუვითარდებათ მათემატიკური და ლოგიკური უნარები;
- მოსწავლეებს გაუღვივდებათ მათემატიკის სიყვარული;
- მოსწავლეებს შეექმნებათ მომდევნო კლასებში მათემატიკის გაღრმავებული შესწავლისათვის სასურველი ბაზა;
- განუვითარდებათ ტექნოლოგიური უნარები;
- შესაბამისი შრომის შემთხვევაში მოსწავლეები წარმატებას მიაღწევენ მათემატიკურ და ინფორმატიკის ოლიმპიადებში;
- მოსწავლე მიეჩვევა ლოგიკურ და ანალიტიკურ აზროვნებას, რაც დაეხმარება სხვა საგნების უკეთ ათვისებაშიც;
- განუვითარდებათ გუნდური მუშაობის უნარები;
- სკოლის მისიიდან გამომდინარე, მისაღები კონტიგენტი უკეთ იქნება მომზადებული პროფილურ საგანში.

მეცადინეობების ფორმატი

თბილისში პროექტი განხორციელდება ორ ფორმატში, რომლიდანაც ერთ-ერთს აირჩევს მშობელი.

- თბილისში მეცადინეობები ჩატარდება სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლაში.

I ცვლა: შაბათი: 10.00-13.00 (შესვენება 15-20 წუთი) ან 09:30-12:30

II ცვლა: შაბათი: 14.00-17.00 (შესვენება 15-20 წუთი) ან 13:30 – 16:30

III ცვლა: კვირა: 10.00-13.00 (შესვენება 15-20 წუთი) ან 09:30 – 12:30

IV ცვლა: კვირა 14.00-17.00 (შესვენება 15-20 წუთი) ან 13:30 – 16:30

ინფორმატიკის მეცადინეობები ჩატარდება კვირაობით: 09..45-11.45 და 12.00-14.00

• შაბათის სკოლის ფარგლებში შესაძლებელია გაიხსნას მხოლოდ ონლაინ ჯგუფებიც. ამ მომსახურების არჩევის შემთხვევაში, მეცადინეობები განხორციელდება დისტანციურად, ონლაინ ფორმატში. განრიგი იქნება იგივე. განსხვავებული არის კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა.

- იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო მთავრობამ გადაწყვიტა სწავლების ონლაინ ფორმატში გადატანა, შაბათის სკოლის ჯგუფები გადაერთვებიან ონლაინ რეჟიმში. ამ შემთხვევაში სკოლა ჩაატარებს დამატებით ერთ გაკვეთილს მოდულში.
- მომსახურება იყოფა სამ მოდულად: თითოეულ მოდულში ჩატარდება 12 მეცადინეობა, ასევე მოსწავლეებს პირველი მოდულის დასაწყისში ჩაუტარდებათ სადიაგნოსტიკო წერა, ხოლო პირველი, მე-2 და მე-3 მოდულის ბოლოს ჩაუტარდებათ შემაჯამებელი წერები. სკოლის გადაწყვეტილებით, წერები შეიძლება ჩატარდეს შუა კვირაში. შემაჯამებელი წერა შეიძლება ჩატარდეს ოლიმპიადის ფორმატში.
- იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო მთავრობამ გადაწყვიტა სწავლების ონლაინ ფორმატში გადატანა და ვერ მოხერხდა შემაჯამებელი წერის ჩატარება აუდიტორებში, შემაჯამებელი წერები ჩატარდება ონლაინ რეჟიმში (სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ვერ მოხერხდება მონიტორინგი).

მეცადინეობებს ჩაატარებენ სკოლისა და მოწვეული კვალიფიციური პედაგოგები.

ერთი მოდულის ღირებულება:

მათთვის, ვინც პროექტში ,,შაბათის სკოლა“ სწავლობდა 2021-2022 სასწავლო წელს - 300 ლარი, ყველა დანარჩენისთვის 345 ლარი.

თუ და-ძმებიდან ორი ან მეტი მოსწავლე იღებს თბილისის „შაბათის სკოლის“ მომსახურებას, პირველი მოსწავლის მომსახურების ღირებულება იგივეა, რაც აღწერილია ზემოთ, ყოველ მომდევნო შვილზე ერთი მოდულის საფასური შეადგენს 180 ლარს (ამ შემთხვევაში მშობელმა უნდა მიმართოს „შაბათის სკოლის“ ადმინისტრაციას).

ინფორმატიკის ერთი მოდულის ღირებულებაა -150 ლარი.

მშობლებთან ხელშეკრულება ფორმდება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. სკოლა იღებს ვალდებულებას შეასრულოს პროექტით განსაზღვრული აქტივობები, მშობელი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს პროექტით განსაზღვრული თანხა. მოსწავლის სიარული მეცადინეობებზე ავტომატურად ნიშნავს მშობლის თანხმობასა და ხელშეკრულების მოქმედებაში შესვლას.

ხელშეკრულების ფარგლებში, სკოლა ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მოსწავლის ,,შაბათის სკოლაში” სწავლება 2022-23 სასწავლო წლის შესაბამის მოდულში;

ბ) უზრუნველყოს სწავლისა და სწავლების მაღალი ხარისხი;

გ) შეუქმნას მოსწავლეს სწავლისა და განვითარებისათვის უსაფრთხო და თანასწორუფლებიანი გარემო;

დ) უზრუნველყოს მოსწავლე კვალიფიცირებული მასწავლებლის მომსახურებით;

ე) უზრუნველყოს მოსწავლე სასწავლო საკლასო ოთახით;

ვ) უზრუნველყოს მოსწავლე შესაბამისი ლიტერატურით (ამოცანათა კრებული)

ზ) გააცნოს მშობელს შესაბამისი მომსახურების შინაარსი;

თ) მოდულის განმავლობაში უზრუნველყოს 12 მეცადინეობის ჩატარება.

ი) ყოველი მოდულის განმავლობაში და მოდულის ბოლოს ჩაატაროს შემაჯამებელი წერები.

კ) 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში, შესთავაზოს პროექტის მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეებს მათემატიკის ოლიმპიადის ჩატარება, ხოლო მე-4 კლასის მოსწავლეებს გუნდური მათემატიკური შეჯიბრი.

ლ) მთავრობის გადაწყვეტილების შემთხვევაში სრულად ონლაინ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, უზრუნველყოს შესაბამისი პლატფორმით სარგებლობა.

მ) მთავრობის გადაწყვეტილების შემთხვევაში სრულად ონლაინ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, უზრუნველყოს მოდულში დამატებით ერთი გაკვეთილის ჩატარება.

ნ) თითოეულ ჯგუფში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა:

I მოდული: მე-5 და მე-6 კლასებში - 20, მე-3 და მე-4 კლასებში -17,

II და მესამე მოდული: მე-5 და მე-6 კლასებში -18, მე-3 და მე-4 კლასებში -16.

მხოლოდ ონლაინ ჯგუფში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა-15.

ო) პროექტის მოსწავლის მშობელთან უზრუნველყოს უკუკავშირი ონლაინ პლატფორმა ,,სქულბუქის“ მეშვეობით.

მშობელი ვალდებულია:

გაეცნოს ხელშეკრულებით და შესაბამისი პროექტით გათვალისწინებულ პირობებს, სკოლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და ოდენობით;

მეცადინეობების გრაფიკი განისაზღვრება სკოლის მიერ.

I მოდულის საფასური გადაიხადოს სარეგისტრაციო წესების შესაბამისად;

II მოდულის საფასური გადაიხადოს არაუგვიანეს 2023 წლის 10 იანვრამდე;

III მოდულის საფასური გადაიხადოს არაუგვიანეს 2023 წლის 1 აპრილამდე.

ონლაინ ჯგუფის არჩევის შემთხვევაში, მშობელი ვალდებულია უზრუნველყოს მოსწავლე ინტერნეტითა და კომპიუტერით/ან ტელეფონით.

მთავრობის გადაწყვეტილების შემთხვევაში სრულად ონლაინ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მშობელი ვალდებულია უზრუნველყოს მოსწავლე ინტერნეტითა და კომპიუტერით/ან ტელეფონით.

მსურველთა რაოდენობის შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია, დაამატოს ჯგუფები სხვა გრაფიკითა და სხვა ტარიფიკაციით.

სკოლა უფლებამოსილია, გადასახადისგან გაათავისუფლოს სოციალურად დაუცველი , მრავალშვილიანი ოჯახის (7 ან მეტი შვილი) მოსწავლეები, სკოლის თანამშრომლის ოჯახის წევრები. სკოლასთან შეთანხმებით, მომსახურების საფასური შეიძლება გადახდილ იქნას სხვა ვადებშიც.

იმ შემთხვევაში, თუ მშობელი გადაწყვეტს პროექტის დატოვებას, ის წერს განცხადებას სკოლის დირექტორის სახელზე და მას დაუბრუნდება თანხა შემდეგი წესით: მშობლის მიერ წინასწარ გადახდილ საფასურს გამოაკლდება განცხადების დაწერის მომენტისთვის ჩატარებული გაკვეთილების შესაბამისი თანხა პროპორციულად.

თუ პროექტის დატოვება მოხდება პირველი მოდულის დაწყებამდე, თანხა დაბრუნდება შემდეგი ფორმულით: x-20 ლარი, სადაც x არის მშობლის მიერ გადახდილი თანხა.

სკოლა უფლებამოსილია პროექტი დაატოვებინოს მოსწავლეს სხვა მოსწავლის დაჩაგვრის, სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევაში. სხვა დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მოსწავლის პროექტის დატოვება განისაზღვრება შესაბამისი წესით, რომელსაც ამტკიცებს კომაროვის სკოლის დირექტორი. ამ დროს მშობელს უბრუნდება თანხა შემდეგი პირობებით: მშობლის მიერ წინასწარ გადახდილ საფასურს გამოაკლდება მოსწავლის პროექტის დატოვების მომენტისთვის ჩატარებული გაკვეთილების შესაბამისი თანხა პროპორციულად.

სკოლის მიერ შესაძლებელია შეირჩეს დამატებით სხვა ცენტრიც თბილისში, სადაც განხორციელდება სწავლება.

სკოლის საბანკო ანგარიში: სს. „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი.

ბანკის კოდი BAGAGE 22

ანგარიშის N GE93BG0000000264170100GEL.

სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის

N199 საჯარო სკოლის დირექტორი /ივანე კვიტაშვილი/